

შპს „სამთო კომპანია ფარავანპერლიტი“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „სამთო კომპანია ფარავანპერლიტი“ (ს/ნ 204979292)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

(არაუდიტირებული)	
ლარი	
აქტივები	
მიმდინარე აქტივები	
ფული და ფულის ექვივალენტი	4721
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18078
სასაქონლო მატერიალური მარაგები	370713
გადახდილი ავანსები	48044
სხვა მიმდინარე აქტივები 1226	
სულ მიმდინარე აქტივები	441556
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშალებები	2285311
სულ აქტივები	2728093
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	
მოკლევადიანი ვალდებულებები	
სავაჭრო ვალდებულებები	434048
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	118055
სულ ვალდებულებები	552103
საკუთარი კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი	5931942
შევსებული კაპიტალი	
გაუნაწილებელი მოგება	-3755952
სულ საკუთარი კაპიტალი	2175990
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2728093

შპს „სამთო კომპანია ფარავანპერლიტი“ (ს/ნ 204979292)
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

(არააუდიტირებული)

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლ ა რ ი (486)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ცვლილება ფულად ნაკადებში	(486)

ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში	5207
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	4721

შპს „სამთო კომპანია ფარავანპერლიტი“ (ს/ნ 204979292)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამთო კომპანია ფარავანპერლიტი“ (ს/ნ 204979292) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის ნომერი 5/4-3110; რეგისტრაციის თარიღი 28/02/2002). შპს-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VII კვ., კორ. 8, ბ. 54.

შპს „სამთო კომპანია ფარავანპერლიტი“ საქმიანობის განხორციელების მიზნით ახდენს სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ პერლიტის მოპოვებას, გადამამუშავებას და რეალიზაციას.

წიაღისეულის მოპოვება ხდება საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ჯ.ც.“-ზე (ს/ნ 202347754) გაცემული № 1002915 ლიცენზიის საფუძველზე, რომელიც შემდგომ იჯარით აქვს აღებული შპს „სამთო კომპანია ფარავანპერლიტს“.

კომპანიის მიერ პროდუქციის წარმოება ხორციელდება როგორც ქვეყნის შიდა, ასევე გარე ბაზრებისათვის.

წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი გადის ექსპორტზე. აზერბაიჯანში, უკრაინაში, რუსეთში, ლიტვაში, გერმანიაში.

2020 წელს შპს „სამთო კომპანია ფარავანპერლიტი“ დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა შეადგენდა - 34 თანამშრომელს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადებისგამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის აღიარება ხდება ყოველთვიურად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი

მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშებასაშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება როგორც საკრედიტო ასევე წინასწარ გადახდის პირობით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელ შემოსავალში იგულისხმება მიღებული ავანსები.

სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს როგორც ადგილობრივ ასევე ექსპორტის ოპერაციებს.

4. მიწოდების ხარჯი

მიწოდების ხარჯი მოიცავს გაყიდული საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

5. დასაქმებულთა ანაზრაურობა

დასაქმებულთა ანაზრაურობა მოიცავს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

6. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წარმოებისათვის საჭირო ნედლეულსა და მასალებს.

7. სავაჭრო ვალდებულებები

	ლ ა რ ი
ადგილობრივი მომწოდებლები	80292
უცხოელი მომწოდებლები	8321
	88613

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 30 სექტემბერს

შპს " სამთო კომპანია ფარავანპერლიტი" (ს/ნ 204979292)
სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2020-31-12.2020 პერიოდისთვის


ლარი
(არაუდიტირებული)

შემოსავლების რეალიზაციიდან	14555555
რეალოზებული პროდუქციის თვითღირებულება	814580
საერთო მოგება :	640975
სხვა შემოსავლები	822273
მიწოდების ხარჯები	499208
სხვა საოპერაციო ხარჯები	<u>323065</u>
საოპერაციო მოგება:	964040

<u>მთლიანი სრული შემოსავალი /ზარალი</u>	964040
---	--------


 კახაბერ ბლუაშვილი
 აღმასრულებელი დირექტორი




 რუსუდან ბაგაური
 მთ. ბუღალტერი